



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №015/18<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა**

*მარიამ გაჩეჩილაძე (სტუდენტი)*

**შეკითხვა:**

ადვოკატს სურს თავისი პროფესიონალიზმის ხაზსგასასმელად აღნიშნული საქმის წარმატებით დასრულების თაობაზე ინფორმაცია განათავსოს სოციალურ ქსელში, თუმცა კლიენტი არ არის თანახმა აღნიშნულ საკითხი გახდეს საჯარო. არის თუ არა აღნიშნული საკმარისი საფუძველი, იმისთვის რომ დადგინდეს ეთიკური ვალდებულების დარღვევა ადვოკატის მხრიდან?

**ანალიზი:**

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატმა არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია საკუთარი მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს. აღნიშნულ შემთხვევაში ინფორმაცია, რომელიც ადვოკატს სურს განათავსოს სოციალურ ქსელში - არის კლიენტის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც არის კონფიდენციალური. ადვოკატის მიზანი - გახდეს საჯარო კლიენტის საქმის თაობაზე კონფიდენციალური ინფორმაცია - არის მისი პროფესიული საქმიანობის წარმატებით დასრულების თაობაზე გაზგასმა. შესაბამისად, ადვოკატს სურს თავისი პირადი ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენოს კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ კლიენტი არ აცხადებს თანხმობას, მისი საქმის თაობაზე ინფორმაცია გავრცელდეს სოციალურ ქსელში

**დასკვნა:**

ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას მოეთხოვება პროფესიული პასუხისმგებლობა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად და დააყენოს ისინი მის პირად ინტერესებზე მაღლა.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c7fc543f1f5e.pdf/zipiri%20015.18%20gacmis%20tarigi%2002.10.18.pdf>